

პროექტის მოკლე აღწერა



სოციალური დაცვის სისტემის ტრანსფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის საქართველოში

Photo: ქალები საქართველოდან / Women of Georgia



**პროექტის
განმახორციელებელი:**

გაეროს ქალთა ორგანიზაცია, გაეროს ბავშვთა ფონდი, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, გაეროს განვითარების პროგრამა, გაეროს მოსახლეობის ფონდი, გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარიატი



დონორი:

მდგრადი განვითარების მიზნების ერთობლივი ფონდი



საერთო ბიუჯეტი:

2,200,000 აშშ დოლარი



**გაეროს ქალთა
ორგანიზაციის ბიუჯეტი:**

220,000 აშშ დოლარი



პროექტის ხანგრძლივობა: 1 იანვარი, 2020 - 31 იანვარი, 2022

გაეროს ქალთა ორგანიზაციის საქართველოს ოფისი, მდგრადი განვითარების მიზნების ერთობლივი ფონდის მხარდაჭერითა და გაეროს ხუთ სააგენტოსთან (გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარიატი (OHCHR)) თანამშრომლობით, ახორციელებს ერთობლივ პროგრამას „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის ტრანსფორმაცია საქართველოში.“ პროგრამა 2020 წლის იანვარში დაიწყო და საქართველოში სოცია-

ლური დაცვის სისტემაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრასა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა მდგომარეობის ტრანსფორმაციას ისახავს მიზნად. გაეროს სააგენტოების ერთობლივი ძალისხმევა შშმ პირთა შესახებ მონაცემებისა და შესაბამისი სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოების გაუმჯობესებაზეა მიმართული. პროგრამა, ასევე, ითვალისწინებს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, შშმ პირების ირგვლივ არსებული სოციალური ნორმების ცვლილებასა და შშმ პირების ორგანიზაციების, როგორც ცვლილებების მნიშვნელოვანი აგენტების, გაძლიერებას.

ერთობლივი პროგრამის ფარგლებში, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ შემუშავებული გლობალური სტრატეგიის - „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგოების გაძლიერება: სრული და ეფექტური მონაწილეობისა და გენდერული თანასწორობის მისაღწევად“ - შესაბამისად, გაეროს ქალთა ორგანიზაცია საქართველოში ადგილობრივ პარტნიორებს მხარს უჭერს ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე არსებული ნორმატიული ჩარჩოს ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულებაში, შშმ ქალებისა და გოგოებისთვის გენდერული თანასწორობის დასამკვიდრებლად და მათ გასაძლიერებლად. დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, რომელთა შორისაა: მთავრობა, განვითარების საკითხებზე მომუშავე პარტნიორები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, პროექტი ორი შედეგის მიღწევას ემსახურება, კერძოდ:

1. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობის ამაღლებას, რათა მათ მონიტორინგი და ლობირება გაუწიონ საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის (CRPD) განხორციელებას, გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერებისთვის ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე აღებული ვალდებულებების კონტექსტში (კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველანაირი ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW), პეკინის სამოქმედო პლატფორმა (BpfA), უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა (UPR), ქალთა სტატუსის განმსაზღვრელი კომისიის (CSW) შეთანხმებული დასკვნები);
2. შშმ პირთა და გენდერული მონაცემების წარმოებისა და გამოყენების გაუმჯობესებას.

ერთობლივი პროგრამის ფარგლებში, გაეროს ქალთა ორგანიზაცია იმუშავებს შშმ ქალებისა და გოგოების მიმართ არსებული სტერეოტიპების დაძლევაზე, რომლებიც მათი ცხოვრების

ყველა სფეროში სხვადასხვა ნიშნის, მათ შორის, ასაკის, სქესის, ეთნიკური წარმომადგენლობისა და შეზღუდულობის შესაძლებლობის ტიპის საფუძველზე არსებობს. ამ კუთხით, გაეროს ქალთა ორგანიზაცია მხარს უჭერს სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივებს, რომელთა მიზანია შშმ ქალებისა და გოგოების ხილვადობისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ მიერ შეტანილი წვლილის გაზრდა და ცნობიერების ამაღლება ჯვარედინი დისკრიმინაციის შესახებ, რასაც შშმ ქალები და გოგოები გენდერისა და შეზღუდული შესაძლებლობის გამო განიცდიან.

შშმ ქალთა ორგანიზაციების ქსელის მობილიზებისა და მათი შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, პროექტი მჭიდროდ თანამშრომლობს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან შშმ ქალებისა და გოგოების უფლებების დაცვის კუთხით საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე აღებული ვალდებულებების შესრულების ლობირებისა და მონიტორინგის უზრუნველსაყოფად.

პროექტი, ასევე, ხელს შეუწყობს გენდერული და შშმ პირების შესახებ მონაცემების გაუმჯობესებულ წარმოებასა და ანალიზს საქართველოში. ამისთვის, არსებული მონაცემები შშმ პირებისა და გენდერული პერსპექტივიდან შეფასდება და შემუშავდება გენდერული და შშმ პირთა მონაცემების გაუმჯობესების გეგმა, რომელიც „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“, „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველანაირი ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის“, პეკინის სამოქმედო პლატფორმისა და „მდგრადი განვითარების მიზნების“ მიერ დადგენილ საერთაშორისო ნიშნულებს დაეფუძნება და გენდერისა და შშმ პირთა შესახებ რეკომენდებულ ეროვნულ ინდიკატორებს მოიცავს. პროექტის ფარგლებში შეფასდება, ასევე, ზემოთხსენებული შეთანხმებების ფარგლებში საქართველოს მიერ აღებული გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების ვალდებულებების შესრულება.